ვ ა კ ა ნ ს ი ა

პოზიციის დასახელება: ადმინისტრაციული დეპარტამენტის სტაჟიორი (იურისტი)

კონკურსის ტიპი: სტაჟირება

ორგანიზაცია: სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორია

კატეგორია: სტაჟირება (ანაზღაურებადი)

განცხადების მიღების პერიოდი: 01.09.2025 წ. - 08.09.2025 წ.

შრომის ანაზღაურება: 650 ლარი

ადგილების რაოდენობა: 2

სამუშაო ადგილი: **ვაკანსია №1** - მთა ყანობილი (დაბა აბასთუმანი),

ვაკანსია №2 - მთა ყანობილი (დაბა აბასთუმანი) ან თბილისი.

სტაჟირების ხანგრძლივობა: 1 - 3 თვე

სამუშაო ტიპი: ნახევარი განაკვეთი

სამუშაოს დრო: სამუშაოს საჭიროების შესაბამისად და სტაჟირების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მინიმუმ კვირაში 20 სთ.

ფუნქციები:

- წერილების, სამსახურებრივი ბარათების, ბრძანებების, ცნობების, შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და გამოცემის ხელშეწყობა;
- სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობა და ანალიზი, მსჯელობა, იურიდიული კვალიფიკაციის მიცემა და სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების შესახებ შესაბამისი წინადადებების მომზადება;
- დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაცია (სტაჟიორის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) და შესაბამისი საჭიროებების განსაზღვრა, მისადაგება;
- სტაჟიორის ხელმძღვანელის დავალებით სხვადასხვა საქმიან შეხვედრებში მონაწილეობა, შეხვედრების დაოქმება;
- ობსერვატორიის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სტაჟიორის ხელმძღვანელის ცალკეული დავალებების შესრულება.

მოთხოვნები:

- საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე;
- მინიმალური განათლება - სტუდენტი (სამართლის ბაკალავრი ან სამართლის მაგისტრი)
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების (MS Word, MS Excel) - საბაზისო ცოდნა;
- სახელმწიფო ენის ცოდნა;
- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

საკონკურსო თემატიკა

კანონმდებლობის ცოდნა:

- სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდება;
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I-II, IV, VI და VII თავები);
- საქართველოს შრომის კოდექსი.

დამატებითი მოთხოვნები:

- უცხო ენის (ინგლისური) ცოდნა.
- მოტივირებულობა;
- ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
- ორგანიზებულობა, დისციპლინირებულობა;
- განვითარების სურვილი;
- შესასრულებელ სამუშაოზე, დეტალებზე და შედეგზე ორიენტირებულობა.

სტაჟირების გავლის მსურველმა ობსერვატორიას უნდა წარმოუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. წერილობითი განცხადება.
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ელექტრონული ასლი;
3. ავტობიოგრაფია (CV) ფერადი ფოტოსურათით, რომელშიც მიეთითება არაუმეტეს 2 რეკომენდატორის ვინაობა, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია;
4. დიპლომის ასლი ან ნებისმიერი დოკუმენტი/საჯარო წყარო, რომლითაც დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტუდენტის სტატუსი;
5. სამოტივაციო წერილი.

სტაჟირების გავლის მსურველმა ზემოაღნიშნული დოკუმენაცია უნდა გამოგზავნოს ელ-ფოსტაზე: vacancy@abao.ge

შენიშვნა: *სტაჟირების გავლის მსურველი განაცხადის გამოგზავნით ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, სტაჟირების პირობებს. ასევე ის თანახმაა, განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის*

მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს ობსერვატორიის მიერ სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ასევე, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოძიების/გადამოწმების თაობაზე.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში.

კონკურსის ეტაპები: I - განცხადების მიღება და გადარჩევა

II - გასაუბრება.

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ-ფოსტა: info@abao.ge;

მობილური: (+995) 595 01 16 86.